ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის ანგარიში 2024-წლის ივლისიდან 2025-წლის ივლისამდე განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობის შესახებ

წარმოგიდგენთ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წლის 1 ივლისიდან 2025 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიშს.საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომისია მუშაობას წარმართავდა საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ საკრებულოს რეგლამენტისა და კომისიის დებულების შესაბამისად.

2024 წლის 1 ივლისიდან 2025წლის 1 ივლისამდე კომისიამ ჩაატარა 12 კომისიის სხდომა.კომისიაში გაწევრიანებულია 9 წევრი.კომისიის სხდომებს იწვევდა და წარმართავდა კომისიის თავმჯდომარე.საკითხებს განვიხილავდით მერიის ჯანმრთელობისა და სოციალურ სამსახურთან, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილებასთან,საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრთან,სათნოების სახლთან,სურსათის უვნებლობის სააგენტოსთან კოორდინირებული მუშაობის რეჟიმში.კომისია აქტიურად მუშაობდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განხილვაში და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიებასა და შეძლებისდაგვარად მის მოგვარებაში.

საანგარიშო პერიოდში მოქალაქეთა დახმარების მიზნით მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა გაწეული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება ყოველწლიურად მზარდია. მიმდინარე წელს გასულ წელთან შედარებით ჯანდაცვისა სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისთვს 1 078,1 ათასი ლარით მეტი დაიგეგმა (2024 წ. გეგმა _1 971,1 ათ. ლარი, მიმდინარე წლის გეგმა განისაზღვრა 3 049,2 ათ. ლარით). დიაგრამაზე წარმოდგენილია 2022 წლიდან წლების მიხედვით ჯანდაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი და ფაქტიურად დახარჯული თანხები.



მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა წარმოდგენილია 23 ქვეპროგრამით. მათ შორის ორი ქვეპროგრამა მოიცავს ჯანმრთელობის დაცვას, ხოლო სოციალური მიმართულებით მუშაობს 21 ქვეპროგრამა.

06 03 01 სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება, რომელიც მოიცავს კვლევების, ოპერაციების, სამედიცინო მომსახურების და რამდენიმე ქრონიკული დაავადების მედიკამენტის დაფინანსებას. ქვეპროგრამაზე მიმდინარე წელს დაგეგმილია 500,0 ათასი ლარი, თუმცა, მომართვიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ თანხა არასაკმარისია და საჭირო იქნება დამატებითი თანხის მობილიზება ამ მიმართულებით. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად სკრინიგისა და სახელმწიფო პროგრამების გაზრდისა ონკოლოგიური მიმართულებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია ონკოპაციენტების მომართვიანობა. გასული წლის ამ პერიოდთან შედარებით წელს 106,3 ათასი ლარით გაზრდილია ამ დროისთვის ხარჯი, მათ შორის, 21.2 ათასი ლარით მეტია მიმართული ონკოპაციენტის დაფინანსებაზე. სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამით გასულ წელს ისარგებლა 1221 მოქალაქემ, მიმდინარე წლის 5 თვეში _ 495 მოქალაქემ.

06 03 04 ერთჯერადი ფინანსური დახმარება - ქვეპროგრამის განსახორციელებლად მიმდინარე წელს უპრეცედენტო დახმარება_ 1,0 მლნ

ლარია გათვალისწინებულია, 620,0 ათასი ლარით მეტი, ვიდრე გასელ წელს. ქვეპროგრამით 5 თვეში უკვე დახარჯულია 422,6 ათასი ლარი.

06 03 05 ლეიკემიით დაავადებულთა და დიალიზზე მყოფი პირების დახმარება _ დიალიზის სახელმწიფო პროგრამის მოსარგებლე ბენეფიციარს ყოველთვიურად ერიცხება 200 ლარი, იგეგმება დახმარების გაზრდა 250 ლარამდე. დიალიზის პროგრამაში დღეის მდგომარეობით ჩართულია 16 მოქალაქე. ლეიკემიით დაავადებულთა დახმარება წლიურად განსაზღვრულია 600 ლარით და მოსარგებლეა 4 ბენეფიციარი.

06 03 07 მარტოხელა მშობლების დახმარების ქვეპროგრამით გასული წლიდან ყოველთვიური დახმარების თანხა 50 ლარიდან გაიზარდა 70 ლარამდე. ქვეპროგრამით გასულ წელს სარგებლობდა 21 მარტოხელა მშობელი, მიმდინარე წელს სარგებლობს _ 24 ბენეფიციარი.

06 03 09 ყოველთვიური დახმარების პროგრამის ბენეფიარები არიან უსინათლოები და დევნილები. გასული წლიდან დახმარება განსაზღვრულია თვეში 70 ლარით. ამჟამად მოსარგებლეა 96 მოქალაქე.

06 03 10 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების დახმარება. დახმარების მიმღებია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ომში დაღუპულის ოჯახის წევრი, რომელსაც პირველი რიგის მემკვიდრე არ ყავს და რომელზეც არ ვრცელდება ,,ომისა და სამხედრო ძალების შესახებ“ კანონის მე-16 მუხლის კრიტერიუმები. დახმარება განისაზღვრება 2000 ლარით და სარგებლობს 4 ბენეფიციარი. ქვეპროგრამით სარგებლობს აგრეთვე 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულის 1 ოჯახი.

06 03 11 ხანდაზმულთა დახმარება. დახმარების მიმღებია 100 წლის და მეტი ასაკის მოქალაქე. დახმარება განისაზღვრება 1000 ლარით. საანგარიშო პერიოდში გვყავს 4 ბენეფიარი.

06 03 12 სადღესასწაულო დღეების დახმარება. დახმარება მოიცავს სადღესასწაულო დღეებში მოწყვლადი ჯგუფების დახმარებას. დახმარება გაიწევა ქვეპროგრამით დადგენილ სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარებსა და დღესასწაულის დღეებში სხვა მოწყვლად ჯგუფზე. ქვეპროგრამით სისტემატურად მოსარგებლეა 19 ბენეფიციარი, სააღდგომო დღესასწაულთან დაკავშირებით დახმარება გაცემულია 1200 ოჯახზე.

06 03 17 სტიქიური მოვლენების, ხანძრის შედეგად დაზარალებულთა და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა მატერიალური დახმარება მოიცავს სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დახმარებას, უსახლკარო პირთა და ძალადობის მსხვერპლთა მინიმალური საცხოვრებლით (ბინის ქირით) უზრუნველყოფას.

გასულ წელს ბინის ქირით უზრუნველვყოფდით 16 მოქალაქეს, ამ ეტაპზე მოსარგებლეა 14 პირი, აქედან, უსახლკაროა 9 ოჯახი, ხოლო მომეტებული საფრთხის ქვეშ მცხოვრები 5 ოჯახი. აღსანიშნავია, რომ ჯანდაცვის სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებული უწყების _ სსიპ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ გასული წლიდან ხდება მომეტებული საფრთხის ქვეშ მყოფი ოჯახების ბინის ქირით დაკმაყოფილება. ასეთ მდგომარეობაში მყოფი 13 ოჯახი ამჟამად სარგებლობს აღნიშნული სახელმწიფო პროგრამით. მერიაში, შესაბამისი კომისიის მიერ მინიჭებული კატეგორიების შესაბამისად, 2024 წელს სტიქიის შედეგად დაზარალებული და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე სხვადასხვა კატეგორიის 190 ოჯახს გაეწია ფინანსური დახმარება, ასევე, გასულ წელს, მთავრობის განკარგულებით, გამოყოფილი სახსრებით შეძენილი იქნა თუნუქისა და ხის მასალა, რაც მიიმართა ძლიერი ქარის შედეგად დაზარალებული 135 ოჯახის დასახმარებლად. სულ 2024 წ. ქვეპროგრამით დაიხარჯა 626,4 ათასი ლარი. ხოლო მიმდინარე წელს ქვეპროგრამით 5 თვეში დაიხარჯა 74,8 ათასი ლარი. ფინანსური დახმარება გაიწია 54 ოჯახზე, მათ შორის, პირველი კატეგორია - 3 ოჯახი, მეორე კატეგორია - 45 ოჯახი, მესამე კატეგორია - 6 ოჯახი.

06 03 18 უფასო სასადილოს დაფინანსება გასულ წელთან შედარებით 31,3 ათასი ლარით მეტი, ანუ 281,3 ათ. ლარი დაიგეგმა. სათნოების სახლი ემსახურება 160 ბენეფიციარს. ასევე, მიმართვების საფუძველზე საკვები პროდუქტით დახმარება გაიწევა სხვა ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებზე.

06 03 22 არასრულწლოვანთა დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს მუშაობა ბავშვიან ოჯახებთან, რომლებიც სხვადასხვა მიმართულებით საჭიროებენ გაძლიერებას. ქვეპროგრამა წარმოადგენს ბავშვის ოჯახურ გარემოში აღზრდის ხელშეწყობას, მიტოვების პრევენციას, კრიზისში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერებას. ქვეპროგრამით გასულ წელს განხილული და დაკმაყოფილებული იქნა 39 განცხადება. მიმდინარე წელს მოკვლეულია 19 ოჯახი, რომელიც მოიცავს 31 არასრულწლოვანს, სოც მუშაკის მიერ თითოეულ საქმეზე შექმნილია ინდივიდუალური ქეისი.

მულტიპროფილური გუნდის ინიციატივით პერიოდულად ხორციელდება საქველმოქმედო აქტივობები, რომლის ფარგლებშიც საჭიროების მიხედვით ბენეფიციარებს მიეწოდებათ სეზონურ ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, სხვა საჭირო ნივთები, საკანცელარიო მასალა და განმავითარებელი რესურსი. ბავშვთა დაცვის

საერთაშორისო დღესათან დაკავშირებით ყოველწლიურად ეწყობა ღონისძიება ბავშვებისთვის, სადაც ანიმატორები წარმოადგენენ გასართობ შოუ ბავშვებისთვის.

- მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მერიის სოციალურ პროგრამებზე 2023 წელს გამოყოფილი იქნა 27 868 ლარი, გასული წლის განმავლობაში _ 59 423 ლარი, მიმდინარე წელს დღემდე გამოყოფილია 67 888 ლარი. მათ შორის, დიდთოვლობისას მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სურსათის შესაძენად 25,5 ათასი ლარი.

აღინიშნა, რომ სამომავლოდ განყოფილება გეგმავს „სოციალური საცხოვრისის პროგრამის“ დანერგვას, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვიანი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას.

მერიის ჯამრთელობისა და სოც. დაცვის სამსახურისა და საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალური საკითხთა კომისიის ინიცირებით, მოთხოვნილი იქნა სოციალური პროგრამების ხარჯებს დამატებით 775. 00 ათასი ლარი (მათ შორის სამკურნალო საოპერაციო ხარჯების გაზრდის მიზნით). ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საკრებულოს მიერ მხარდაჯერილი იქნა 2025 წლის11 ივნისს.

სათნოების სახლი

- მოგეხსენებთ, რომ ა.(ა.)ი.პ. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი ემსახურება უპოვართა კვებას კვირაში ექვსი დღე სადღესასწაულო დღეების ჩათვლით. სულ ბენეფიციართა რაოდენობა ამ პერიოდში შეადგენს 160 ბენეფიციარს. მათ შორის დაბაში ემსახურებიან 112 ბენეფიციარს, ხოლო ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულში 48 ბენეფიციარს, კვირაში ორი დღე ცხელი სადილის ადგილზე მიტანით. იგეგმება ბენეფიციართა მატება.
- საახალწლოდ ტრადიციულად ბენეფიციარებზე გაიცა ნობათი (ტკბილეული, ხილი ლიმონათი), ასევე აღდგომის დღესასწაულზე გაიცა საჩუქრები(პასკა,შეღებილი კვერცხი, ლიმონათი),ასევე მონაწილეობა მიიღეს 1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.
- სათნოების სახლს 2025 წელს ყავს 12 თანამშრომელი , რომელნიც ზრუნავენ ბენეფიციართა კეთილდღეობაზე.

სურსათის ეროვნული სააგენტო

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს სურსათის ეროვნული სააგენტო.მოგეხსენებათ,რომ შინაური ცხოველები წარმოადგენენ ვირუსულ-ინფექციურ დაავადებების გადამტანებს,რომლებიც საშიშია ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.სამსახურის საქმიანობაში შედის შინაურ ცხოველთა ზოონოზურ დაავადებების საწინააღმდეგო ვაქცინაცია,პირუტყვის იდენტიფიკაცია რეგისტრაცია.საეჭვო შემთხვევების დროს პათალოგიური მასალების აღება და ლაბორატორიული კვლევა,დამკბენ ცხოველებზე 10-დღიანი ვეტ.ზედამხედველობის დამყარება და მოხსნა.

2025 წლის 1 ივლისის მონაცემებით,ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბრუცელიოზის წინააღმდეგ ვაქცინირებულია 2200 სული მსხვილრქოსანი პირუტყვი.ამჟამად მიმდინარეობს ცოფისა და ჯილეხის საწინააღმდეგო ვაქცინაცია.ვაქცინირებულია დაახლოებით 2500-ი ძაღლი და კატა.ჯილეხზე ვაქცინაცია ტარდება სოფელ ჩრდილში(დაავადების კერა) და მის მიმდებარე სოფლებში.(დეისი,ზვარე,ნუნისი).ამ დროისათვის ვაქცინირებულია 225-ი სული,ხოლო ვაქცინაცია გრძელდება.

ამა წლის მარტის თვეში სოფელ ჩხერში მცხოვრებს (პაატა ყასპიშვილი) დაუდასტურდა დაავადება ბრუცელიოზი.სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ აღებული იქნა სისხლის სინჯები.აღნიშნული პიროვნების საკუთრებაში არსებულ მსხვილფეხა რქოსანპირუტყვებიდან(7 სული) და გადაგზავნილ იქნა ქუთაისის ზონალურ დიაგნოსტიკურ ლაბორატორიაში.ცხოველებში დაავადება არ აღმოჩნდა.

სოფელ სარგვეში მცხოვრები პიროვნების (ვალერი ცხვედელიძე) კუთვნილი მკვდარი ხარიდან აღებულ იქნა პათალოგიური მასალა,რომელიც გადაიგზავნა ქუთაისის ლაბორატორიაში ჯილეხზე გამოსაკვლევად.კვლევის პასუხი უარყოფითია.

ასევე იყო ორი პათალოგიური მასალა ცოფზე გადაგზავნილი,ამ შემთხვევასიც დაავადება არ დადასტურდა.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

ს.ჯ.ც მიერ ხდება დაავადების შეტყობინების მიღება, დარეგისტრირება, კერების გამოკვლევა, ინფექციის წყაროს გამოვლენა, კონტაქტების დადგენა, აღრიცხვა და საჭირო რეკომენდაციების მიწოდება.

საანგარიშო პერიოდში სჯც-ს დაავადებათა სარეგისტრაციო ფორმა # 60/ბ-ში აღრიცხულია:

1.ტუბერკულოზის 6 საეჭვო შეტყობინება, აქედან არცერთი არაა დადასტურებული.

2. ბრუცელოზის 4 საეჭვო-შესაძლო შემთხვევა 4 - უარყოფითი შედეგით.

3. სავარაუდო საკვებისმიერი მოშხამვა 80 შემთხვევა;

4. ლეპტოსპიროზი 4 სავარაუდო შემთხვევა;

5. ეშერიხიოზის 1 სავარაუდო შემთხვევა;

6. ყივანახველა 1 სავარაუდო შემთხვევა;

7. ნოზოკომური ინფექცია 3 შემთხვევა:

8. ბოტულიზმის 1 სავარაუდო შემთხვევა უარყოფითი შედეგით;

9. ორსულთა სიფილისის 2 შემთხვევა;

10. ბორელიოზის 1 შემთხვევა;

11 ჰეპატიტი B 1 შემთხვევა.

ცხოველთა მიერ დაკბენის, დაკაწვრის, დადორბვლის გვქონდა 74 შემთხვევა, ყველა დაკბენილზე გაგზავნილია შეტყობინება შესაბამის სამსახურში (ვეტ სამსახური) დამკბენ ცხოველზე ზედამხედველობის დამთავრებამდე დაკბენილებს უტარდებათ ანტირაბიული აცრები ინსტრუქციის შესაბამისად. დაწესებულებაში ანტირაბიული ვაქცინის მარაგზე შეჰფერხება არ გვქონია, შესაბამისად არც რეგიონულ ჯანდაცვის ცენტრში(დაბა ხარაგაულის საავადმყოფო) არ ყოფილა ვაქცინის დეფიციტი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ წარმატებით მიმდინარეობს C ჰეპატიტისა და შიდსის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება. მოგეხსენებათ ეს

პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი შეთხვევების დროულად გამოვლენის კუთხით.აქტიურად ხდება ც ჰეპატიტზე დადებითი შემთხვევების მიდევნება,დაკვირვება. ყველა სკრინინგ დადებითი პიროვნება მოძიებიულია, ხორციელდება მათთან კომუნიკაცია. მიმდინარე წელში მიღებულია 700 სწრაფი მარტივი ტესტი. ტესტ სისტემებით და შესაბამისი სახარჯი მასალით. დღეის მდგომარეობით საექიმო უბნებისათვის მიწოდებბულია 650 ტესტი.ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ყველა საექიმო უბანი ჩართულია ც ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში, ყველა ამბულატორიაშია ხელმისაწვდომია სწრაფი მარტივი ტესტის გაკეთება ც ჰეპატიტის ანტისხეულების აღმოსაჩენად. მიმდინარე 6 თვეში საექიმო უბნენზე გაკეთდა 263 ც ჰეპატიტის სწრაფი ტესტი. ტესტირება,როგორც ც ჰეპატიტზე ასევე აივ-ინფექციაზე მიმდინარეობს ს.ჯ.ც. ადგილზე.

სჯც-ს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა პროფილაქტიკური აცრების მონიტორინგი.

გასული ექვსი თვის განმავლობაში აცრების მოცვის მაჩვენებელი ნაჩვენებია ცხრილში:

	ვაქცინის დასახელება	გეგმა	შესრულება	%
1	ჰექსაქსიმი დყტ +ჰიბ+ ჰეპ ბ+იპვ	61	31	50,8
2	ტეტრაქსიმი 18-24 თვის ასაკის ბავშვები	54	21	38,9
3	ტეტრაქსიმი 5 წლის ასაკის ბავშვები	93	39	41,9
4	პნევმოკოკის ვაქცინა 1	61	28	45,9
5	პნევმოკოკის ვაქცინა 2	61	31	50,8
6	ა.პ.ვ (1) - 10-11-12 წელი	161	31	39,1
7	ა.პ.ვ. (2) – 10-11-12 წელი	161	63	24,2
8	წითელა, წითურა, ყბაყურა 1 წელზე	68	25	36,8
9	წითელა, წითურა. ყბაყურა 5 წელზე	93	41	44,1
1	ტეტანუსი, დიფტერია 14 წელზე	135	52	38,5
0	როტა ვაქცინა 1	61	25	40,9
11	როტა ვაქცინა 2	61	28	45,9

12	პნევმოკოკის ვაქცინა 3	68	24	35,3

ასევვე ს.ჯ.ც მიერ ხორციელდება სეზონური გრიპის ვაქცინაციის პროცესი. მიღებულ იქნა 2400 დოზა 4 კომპონენტიანი ვაქცინა,რომელიც გადაეცათ სამედიცინო დაწესებულებებს. ნაშთის სახით დარჩენილია დაახლოებით 345 დოზა.

ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაზე განხილულ იქნა:

რეგიონალური ჯანდაცვის ბორითის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრისათვის სამედიცინო მომსახურების შესაძლებლობების განვითარების გზები და იდეები.

ამავე საკითხთან დაკავშირებით,სამუშაო შეხვედრა გაიმართა დევნილთა შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრთან ბატონ მიხეილ სარჯველაძესთან.კონსულტაციები განხორციელდა სამედიცინო საზოგადოების სხვადასხვა დონის ექსპერტებთან,რის საფუძველზეც შემუშავდა და მინისტრის სახელზე გაიგზავნა სამი წერილი რომლის პასუხსაც ველოდებით.

კომისიის თავმჯდომარე
შმაგი ხიჯაკაძე